ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4592627

ნომერი: AR1692245

თარიღი : 05.07.2019

გაცემის თარიღი : 17.07.2019

გაცნობის თარიღი : 18.07.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მარშალ გელოვანი , პოლიციის სამმართველოსთან , (ნაკვეთი N25/50);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ედილაშვილი პ/ნ 01020010070
- ქ.თბილისი, ოთარ ლორთქიფანიძის 32, ბინა #31

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება

  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, მარშალ გელოვანის გამზირი, პოლიციის სამმართველოსთან (ნაკვეთი N25/50), სს „ვენჯორჯიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე არსებული შენობების კედლების მოხატვასა და სარეკლამო აბრების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (სს „ვენჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.10.025.050, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018333841 25/04/2018წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, მარშალ გელოვანის გამზირი, პოლიციის სამმართველოსთან (ნაკვეთი N25/50), სს „ვენჯორჯიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილი ფოტომონტაჟის საფუძველზე არსებული შენობების კედლების მოხატვისა და სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.